**გაეროს წარმომადგენლობა საქართველოში აცხადებს საპრიზო კონკურსს სტუდენტებისათვის გაეროს მიერ შემუშავებული ათასწლეულის განვითარების მიზნების თემაზე შექმნილი საუკეთესო სატელევიზიო სიუჟეტების გამოსავლენად**

კონკურსი საშუალებას აძლევს სტუდენტებს – მომავალ ჟურნალისტებს – შექმნან და წარმოადგინონ სატელევიზიო სიუჟეტები ქვეყნისთვის ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიცაა სიღარიბის დაძლევა, ახალგაზრდობის პრობლემები და სოციალური საკითხები, ჯანდაცვა, განათლება, გარემოს დაცვა და სხვ. სიუჟეტები ასევე უნდა ასახავდნენ ისეთ პროცესებს, რომელთაც წვლილი შექვთ ქვეყნის განვითარებაში, თითოეული მოქალაქის ცხოვრების გაუმჯობესებაში.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად არ არის საჭირო დიდი გამოცდილება, საჭიროა მხოლოდ მოტივაცია. კონკურსის მიზანია, გამოავლინოს სტუდენტთა შემოქმედებითი ნიჭი – სიუჟეტის თემა და შინაარსი მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული.

კონკურსი გამოავლენს შვიდ საუკეთესო სიუჟეტს ათასწლეულის განვითარების მიზნებზე. კერძოდ, სიუჟეტის თემატიკა უნდა უკავშირდებოდეს რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილ მიზანს:

მიზანი 1: უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა
მიზანი 2: განათლების ხარისხისა და ინსტიტუციური მოწყობის გაუმჯობესების გზით საქართველოს განათლების სისტემის ინტეგრაცია მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში
მიზანი 3: გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებამოსილების გაზრდა
მიზანი 4: ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება
მიზანი 5: დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება
მიზანი 6: აივ/შიდსთან, მალარიასა და სხვა დაავადებებთან ბრძოლა
მიზანი 7: ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფა

მაგალითად, სატელევიზიო სიუჟეტი შეიძლება ეხმიანებოდეს გარემოს დაცვის ნებისმიერ საკითხს (კლიმატის ცვლილება, ბიომრავალფეროვნება), ან საქართველოში განხორციელებულ გარემოს დაცვის რომელიმე პროექტს, რომელმაც საცხოვრებელი გარემო ეკოლოგიურად სუფთა გახადა. განათლებაზე გაკეთებული სიუჟეტი შეიძლება მოიცავდეს შემდეგს: ახალგაზრდობის პრობლემები, რეგიონალური საშუალო სკოლების პრობლემები, და ა.შ.

## კონკურსში მონაწილეობა

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოში მოქმედი ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტს (ბაკალავრიატი და მაგისტრატურა).

## კონკურსის პირობები

თითოეული წარმოდგენილი ნამუშევარი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით: სიუჟეტის ორიგინალურობა (სცენარის ხარისხი, სიუჟეტის კომპოზიცია) და სიუჟეტის გადაღების ხარისხი (კამერით მუშაობა და მონტაჟი, ფოკუსი, ფერი და განათება) და ხმის ხარისხი.

გამარჯვებულებს გამოავლენს სპეციალური ჟიური, რომელიც დაკომპლექტდება გაეროს კომუნიკაციის სპეციალისტებით და ტელევიზიის პროფესიონალებით, საპროდიუსერო კომპანიებისა და სხვა სპეციალისტებით, რომლებიც ეძებენ შემოქმედ ჟურნალისტთა ახალ თაობას.

გამარჯვებულები გამოვლინდება 2010 წლის დეკემბერში. გამარჯვებულებს გაეგზავნება შეტყობინება და მათი ვინაობა განთავსდება გაეროს ვებ-გვერდზე: www.ungeorgia.ge

კონკურსი გამოავლენს 7 გამარჯვებულს. თითოეულ გამარჯვებულს გადაეცემა ფულადი ჯილდო: $700.

გამარჯვებული ნამუშევრები განთავსდება გაეროს ვებ-გვერდზე.

**კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:**

1.) განაცხადის ფორმა –სრულად, გარკვევით შევსებული და ხელმოწერილი. იხილეთ ფორმა

2.) გადაღებული მასალის (ტიტრებიანად) ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 2 წუთს და ჩაწერილი უნდა იყოს კომპაქტურ დისკზე, ავტორის მითითებით, ერთ ეგზემპლარად.

3.) მონაწილეს შეუძლია წარმოადგინოს რამდენიმე ნაწარმოები სხვადასხვა კატეგორიაში.

4.) სიუჟეტი მოსახლეობის სხვადასხვა ფენაზე უნდა იყოს გათვლილი და ყველა ასაკს აკმაყოფილებდეს. წარმოდგენილი ნამუშევარი არ უნდა შეიცავდეს ძალადობის, შუღლისა და რაიმე სახის დისკრიმინაციულ მოწოდებებს.

5.) წარმოდგენილი სიუჟეტი უნდა იყოს ავტორის ნამუშევარი და არ უნდა არღვევდეს მესამე მხარის საავტორო უფლებებს. სიუჟეტი არ უნდა იყოს სადმე დემონსტრირებული.

6.) შემოსული მასალა ავტორებს არ უბრუნდებათ.

განსახილველი საკონკურსო მასალის წარმოდგენა შეიძლება გაეროს წარმომადგენლობაში, ყოველდღე 10:00-დან 18:00 საათამდე, **3 დეკემბრის ჩათვლით,** მისამართზე: გაეროს სახლი, ერისთავის ქ. 9. 0179 თბილისი, საქართველო.

**განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2010 წლის 3 დეკემბერი, 18:00 საათი.**

გაერო მოგაწვდით ყველა საჭირო ინფორმაციას და აღმოგიჩენთ დახმარებას სიუჟეტის მომზადების პროცესში.

**საკონტაქტო პირი:**

ქეთი გიოშვილი, გაეროს საზოგადოებრივი ინფორმაციის დეპარტამენტი/გაეროს საინფორმაციო ცენტრი, +995 32 251126 დამატ. 136, ketevan.ghioshvili@unic.org ან ketevan.ghioshvili@undp.org

## United Nations MDG Video Contest

The UN Office in Georgia announces a video contest for students throughout the country to span across poverty, youth problems, disease, maternal and child deaths, education, gender equality and sustainability environmental and other issues that youth find important to the country.

The contest aims to empower emerging journalists by providing them an opportunity to showcase their talent by portraying the MDGs in the most creative way. It is our hope that these will be human interest stories that demonstrate the importance of working together for the common good - a decent life for every Georgian citizen.

No previous experience is required, but an extremely great motivation. You can demonstrate your creative ability as the content is completely up to you!

Every participant should shoot a 2-minute maximum video in length. Video must meet the main criteria – it must involve the Millennium Development Goals (MDGs) message in some way and could have a plot or theme that revolves around any of these seven goals:

- Eradicate extreme poverty
- Ensure coherence of Georgian education systems with the educational systems of developed countries through improved quality and institutional set up
- Promote gender equality and empower women
- Reduce child mortality
- Improve maternal health
- Combat HIV/AIDS, malaria and other diseases
- Ensure environmental sustainability

For example, video can focus on any environmental activity, issue, or topic. Examples would be a video about climate change, or a video recording a successful environmental project that has made a community a healthier and happier place to live. Examples of video on education would be a story on youth problems, problems of public schools in regions, etc.

All entries are judged equally based on: Content originality (quality of storyline, and script), production (camera work and shot composition), post-production (editing and flow, image, color, and lighting), and sound quality.

Winners will be selected by a judging panel of UN communication specialists, TV professionals consisting of producers, production companies, and other professionals who are looking for the next generation of creatively talented journalists out there.

Winners will be announced in December 2010. Winners will be notified by email and/or mail and will also be listed on the UN website at www.ungeorgia.ge

The winners will receive a cash prize of US$700 in each of seven categories. The winning spots will be featured on UN and UN Agencies web sites.

---

**EACH ENTRY MUST INCLUDE:**

1.) Entry form - filled out clearly and completely, with an original signature. Entry forms can be printed out (or photocopied) from the UN website: www.ungeorgia.ge

2.) Entries must be max. 2 minutes in length (including front and back credits) stored on DVD, regardless of original shooting format.

3.) Entrants may submit multiple entries.

4.) Video must be suitable and appropriate for an audience of all ages. Videos that promote violence, hostility or any kind of discrimination will not be accepted.

5.) Videos that are submitted must be entrants original work, not aired and shall not infringe on any copyrights or any other rights of any third parties.

6.) Entry materials (DVD's) submitted will not be returned to the entrant.

**FINAL ENTRY DEADLINE:** Final submissions must be received at the address below by **December 3, 2010, 6:00 PM**.

**MAIL ALL ENTRIES TO:**
MDG Contest
UN House
9, Eristavi St. 0179 Tbilisi, Georgia

The UN will provide all necessary materials and consultancy during the production period. Please feel free to contact us with any questions about the contest or if you would like to have someone come to your university to talk about the contest.

**For more information contact:** Keti Ghioshvili, UN DPI/UNO
E-mail: ketevan.ghioshvili@unic.org; ketevan.ghioshvili@undp.org
Phone: +995 32 25 11 26 ext.136